

ინფლაციის ღონე საქართველოში. მისი გამოვლენა მიზეზები და ეკონომიკური შედეგები

გიგლა გაბაიძე
ეკონომიკის დოქტორი

ერთ-ერთ ყველაზე რთულად გადასაწყვეტ პრობლემას, რომელსაც აწყდება საზოგადოება საბაზრო ეკონომიკის პირობებში, წარმოადგენს ინფლაცია. ზოგადად, ინფლაცია არის ფასების დონის მკვეთრი ზრდა იმ საქონელსა და მომსახურებაზე, რომელმაც მოცემულ ქვეყანაში მოსახლეობის მოთხოვნილებები უნდა დააკმაყოფილოს. მხედველობაში მისაღება ის გარემოებაც, რომ ფასების ყოველგვარი მატება არ ნიშნავს ინფლაციას. ცალკეული დასახელების საქონელზე სხვადასხვა ფაქტორების გავლენით ყოველთვის შეიძლება ფასი გაიზარდოს, მაგრამ ამავე დროს სხვა საქონელზე იგი შემცირდეს. ასეთ შემთხვევაში ფასების საერთო დონე შეიძლება უცვლელი დარჩეს ან შემცირდეს კიდეც, შესაბამისად, ფასების ასეთი ცვლილება ინფლაციას არ გამოიწვევს. ინფლაციასთან მხოლოდ მაშინ გვაქვს საქმე, როცა მატულობს ფასების საერთო დონე და უფასურდება ფული, ანუ როცა ფულის ერთი და იმავე რაოდენობით სულ უფრო ნაკლები მოცულობის საქონლისა და მომსახურების შეძენა შესაძლებელია. ე.ი. ინფლაციას ადგილი აქვს მაშინ, როცა მომოქცევაში გამოყენებულია ფულის მასა, რომელიც არ არის უზრუნველყოფილი შესაბამისი რაოდენობის საქონლითა და მომსახურებით. ასეთი სიტუაცია არღვევს თანაფარდობას გადახდისუნარიან მოთხოვნას და მიწოდებას შორის, რადგანაც ერთი და იმავე მოცულობის საქონლისა და მომსახურების შესაძენად უფრო მეტი რაოდენობის ფულია საჭირო. ინფლაცია, უშუალოდ იმით ვლინდება, რომ ფული უფასურდება საქონლისა და მომსახურების ღირებულებასთან შედარებით.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინფლაციას ადგილი აქვს იმის გამო, რომ: 1. მოსახლეობა თავის ხარჯებს უფრო მეტად ზრდის ვიდრე მწარმოებლები ახდენენ საქონლისა და მომსახურების მიწოდებას და 2. ხდება მომხმარებლის საქონლითა და მომსახურე-

ბით მომარაგების შემცირება, რაც იწვევს ფასების ზრდას [1].

ინფლაციის მაჩვენებლის მიღებისას ანგარიშობენ მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობისა და დასახელების საქონლისა და მომსახურების – „სამომხმარებლო კალათის“ ფასების ცვლილებას. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში და შესაბამისი რეკომენდაციების საფუძველზე 1992 წლიდან ახორციელებს სამომხმარებლო ფასების ინდექსის (ინფლაციის) გაანგარიშებას. იგი ერთადერთი მაჩვენებელია, რომელიც ზომავს ქვეყანაში სამომხმარებლო ფასების საერთო დონის ცვლილებას.

საქართველოში სამომხმარებლო ფასების რეგისტრაცია ხორციელდება ხუთ ქალაქში (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, გორი, თელავი). სამომხმარებლო კალათა იდენტიურია ხუთივე ქალაქისათვის და იგი შეიცავს იმ საქონელსა და მომსახურებას, რომელთა მოხმარება ყველაზე ხშირია საქართველოს შინამეურნეობების (მომხმარებლების) მიერ. ამჟამად კალათა შეიცავს 288 დასახელების საქონელსა და მომსახურებას და მისი (კალათის) განახლება ხდება 3 წელიწადში ერთხელ.

2011 წლის იანვარში 2010 წლის დეკემბერთან შედარებით საქართველოში ინფლაციის დონემ 2,1 პროცენტი შეადგინა. ინფლაციის ამ მაჩვენებლის (დონის) ფორმირებაში ძირითადი გავლენა იქონია ფასების მატებამ შემდეგ ჯგუფებზე:

➤ სურსათზე და უალკოჰოლო სასმელზე მოცემულ პერიოდში ფასები გაიზარდა 4,2 პროცენტით, შესაბამისად ჯგუფის წვლილმა ინფლაციის საერთო მაჩვენებელში 1,85 პროცენტი შეადგინა. ალკოჰოლურ ჯგუფში ყველაზე დიდი ფასების ზრდა დაფიქსირდა ბოსტნეულსა და ბალჩეულზე – 11,7 პროცენტი, ხილსა და ყურძენზე – 8,0 პროცენტი, შაქარსა და საკონდიტრო ნაწარმზე – 6,2 პროცენტი.

➤ საცხოვრებლის, წყლის, ელექტროენერგიის, აირის და სათბობის სხვა სახეებზე ფასები გაიზარდა 0,4 პროცენტით და შესაბამისად ჯგუფის წვლილმა ინფლაციის საერთო მაჩვენებელში შეადგინა 0,06 პროცენტი.

➤ ტრანსპორტზე ფასები გაიზარდა 0,6 პროცენტით. ფასების მკვეთრი ზრდა აღინიშნა საგარეუბნო ავტობუსებით მგზავრობა-

ზე-8,2 პროცენტით და თვითმფრინავით მგზავრობაზე-8,3 პროცენტით.

2011 წლის იანვარში 2010 წლის იანვართან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 12,3 პროცენტი შეადგინა. ჭფასების მატება ქვეყნის მიხედვით კი ასეთ სურათს იძლევა:

➤ სურსათი და უალკოჰოლო სასმელზე ამ 12 თვიან პერიოდში ფასები გაიზარდა 25,2 პროცენტით, შესაბამისად ჯგუფის წვლილმა ინფლაციის საერთო მაჩვენებელში 10,2 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი ძირითადად განაპირობა ფასების მატებამ ბოსტნეულსა და ბალჩეულზე-50,8 პროცენტით, ხილსა და ყურძენზე-38,3 პროცენტით, ზეთსა და ცხიმზე-35,5 პროცენტით, პურსა და პურპროდუქტებზე-20,0 პროცენტით, შაქარსა და საკონდიტრო ნაწარმზე-16,6 პროცენტით.

➤ საცხოვრებლის, წყლის, ელექტროენერგიის, აირის და სათბობის სხვა სახეებზე ფასები გაიზარდა 2.8 პროცენტით და ამ ჯგუფის წვლილმა საერთო ინფლაციის მაჩვენებელში შეადგინა 0.4 პროცენტი.

➤ ტრანსპორტის წვლილმა ინფლაციის საერთო მაჩვენებელში 0.7 პროცენტი შეადგინა. ფასების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა დიზელის საწვავზე-20.5 პროცენტი და ბენზინზე-13.7 პროცენტი.

შედარებისათვის 2007 წელს ქვეყანაში არსებულ 11 პროცენტიან ინფლაციაში სურსათის გავლენა იყო 5.7 პროცენტი, ხოლო 2008 წლის აგვისტოში (სამხედრო აგრესიის დროს), როდესაც მოკლე პერიოდში მნიშვნელოვნად გაძვირდა სურსათი, 12.8 პროცენტიან ინფლაციაში სურსათის გავლენა იყო 7.9 პროცენტი. 2011 წლის იანვრის მდგომარეობით კი 12.3-იან ინფლაციაში სურსათის გავლენა 10.2 პროცენტია. ასეთი სიტუაცია მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარებას საჭიროებს ხელისუფლების მხრიდან.

2012 წლის იანვარში 2011 წლის დეკემბერთან შედარებით საქართველოში ინფლაციის დონემ 0.5 პროცენტი შეადგინა. მოცემულ პერიოდში სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფის ფასები გაიზარდა 1.7 პროცენტით და მისმა წვლილმა იანვრის თვის ინფლაციაში 0.5 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასების მნიშვნე-

პერნოდიური თეორიის თანამართლება პრობლემაში

ნელოვანი ზრდა დაფიქსირდა: ხილი და ყურძენი –7.4 პროცენტი, ბოსტნეული და ბალჩეული–5.8 პროცენტი, რძე, ყველი და კვერცხი – 4.0 პროცენტი, ხორცი და ხორცის პროდუქტები–3.3 პროცენტი.

ერთი წლის განმავლობაში ტრანსპორტის ჯგუფზე ფასები გაიზარდა 13.8 პროცენტით, შესაბამისად ჯგუფის წვლილმა წლიური ინფლაციის მაჩვენებელში 0.3 პროცენტული პუნქტი შეადგინა [4].

როგორც წარმოდგენილი ციფრობრივი მონაცემები გვიჩვენებს, საქართველოში უკანასკნელ პერიოდში ყველაზე მეტად სასურსათო პროდუქტებზე ხდება ფასების ზრდა, რაც ძალიან უარყოფითად აისახება ყვეყნის მოსახლეობის (განსაკუთრებით პენსიონერები, პედაგოგები და სხვა) საარსებო პირობებზე. მართალია ინფლაცია დამახასიათებელია ყველა ქვეყნისათვის, მაგრამ იგი უფრო მძიმე შედეგებით აისახება ისეთი განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, როგორიც საქართველოა და სადაც სამომხმარებლო კალათაში სურსათს დიდი ხვედრითი წილი (50 პროცენტი და მეტი) უჭირავს, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში სამომხმარებლო კალათაში სასურსათო საქონელზე 10 პროცენტზე ნაკლები მოდის.

ცხრილი 1. სამომხმარებლო ფასების ინდექსი (ინფლაცია) საქართველოში [4]

N	მაჩვენებლები	2006	2007	2008	2009	2010	2011
1	საშუალო წლიური წინა წლის საშუალო წლიურთან	109,2	109,2	110,0	101,7	107,1	108,5
2	დეკემბერი წინა წლის დეკემბერთან	108,8	111,0	105,5	103,0	111,2	102,0
3	წლიური ინფლაციის დონე (%)	8,8	11,0	5,5	3,0	11,2	2,0

ცხრილი 1-ის მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოში ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ინფლაციის ყველაზე მაღალი დონე (11.2 პროცენტი) დაფიქსირდა 2010 წელს, ხოლო ყველაზე დაბალი (2,0 პროცენტი) კი 2011 წელს.

კონკრეტულად თუ რა ფაქტორები იწვევს ჩვენს ქვეყანაში ინფლაციას უცნობია. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი – გიორგი ქადაგიძე მიიჩნევს, რომ ჩვენში ინფლაციის 90 პროცენტი გამოწვეულია გარე ფაქტორებით და ფასების ზრდა განპირობებულია საერთაშორისო ბაზარზე სურსათსა და ნავთობპროდუქტებზე ფასების მატებით. იმ პერიოდისათვის ეკონომიკის ექსპერტის – დავით ნარმანის აზრით კი ინფლაციის გამომწვევი მიზეზები, როგორც საერთაშორისო ბაზარზე ფასების მატებით, ასევე ქვეყნის შიგნითაც უნდა ვეძებოთ და ხელისუფლების აპელირებას მხოლოდ საგარეო ფაქტორებზე არასწორად მიიჩნევს. შიდა ფაქტორებიდან იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიიჩნევს სანავის, მედიკამენტების და შაქრის ბაზარზე მონოპოლიური და ოლიგოპოლიური კომპანიების არსებობას. ინფლაციას ხელს უწყობს მთავრობის მიერ გატარებული ცალკეული ისეთი ღონისძიებებიც, როგორიცაა სასურსათო ვაუჩერების დარიგება და სხვა ღონისძიებები. ეროვნული ბანკის პოლიტიკა – ხელოვნურად გაამყაროს ლარი და ამით შეამციროს ინფლაცია საჭირო ქმედებაა, მაგრამ არასაკმარისი. მდგომარეობის სრულყოფისათვის ეროვნულმა ბანკმა და ხელისუფლებამ კოორდინირებული პოლიტიკა უნდა გაატაროს და მთავრობამ დროულად დაასრულოს კონკურენციის კანონმდებლობის სრულყოფა და შესაბამისი სამსახურის ფორმირება, აცხადებს დ. ნარმანია [2].

სოსო ცისკარიშვილის აზრით ინფლაციის ზრდის ერთ-ერთი სერიოზული მასტიმულირებელია ქვეყანაში არსებული კორუფცია. რაც უფრო დიდი და ფართო მასშტაბიანია კორუფცია, მით უფრო მაღალია ინფლაციის დონე. მისი აზრით, შევარდნაძის ხელისუფლების დროინდელმა კორუფციამ ევოლუცია განიცადა და სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ელიტური გახდა. იგი მიიჩნევს, რომ კორუფცია ინფლაციურ პროცესებში საკმაოდ... მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რადგან ე. წ. პრივატიზაცია, რომელიც სახელმწიფო ქონების გასხვისებასთან არის დაკავშირებული, ძირითადად პირდაპირი მიყიდვის წესით წარიმართებოდა და არავითარი ტენდერი და გამჭირვალობა ამ პროცესს არ ახასიათებდა. არაოფიციალურად გადახდილი თანხა კი უკონტროლო და

შავი ფულია, რომლის ბაზარზე შემოდინება არაპროგნოზირებად მოვლენებს იწვევს, ისეთს, როგორიცაა ბაზარზე ფასების ზრდა და ინფლაციური პროცესები [3].

ინფლაცია თავისი შინაარსით მაკროეკონომიკური მოვლენაა და ამიტომ მისი არსისა და მიზეზის გაგება მხოლოდ მაკროდონეზე მიმდინარე პროცესების ანალიზისა და შესწავლის საფუძველზე შეიძლება. ინფლაციის მიზეზებს შორის კი პირველ პლანზე წამოიწევა ისეთი მაკროეკონომიკური პროპორციების დარღვევა, როგორიცაა წონასწორობა მოხმარებასა და დაგროვებას შორის, გადახდისუნარიან მოთხოვნასა და შესაბამისი მოცულობის საქონლისა და მომსახურების მიწოდებას შორის, სახელმწიფო შემოსავლებსა და სახელმწიფო ხარჯებს შორის, ფულის მიმოქცევის კანონის მოთხოვნასა და მიმოქცევაში რეალურად არსებული ფულის მასის მოცულობას შორის და ა.შ, თუმცა აქ ჩამოთვლილ თანაფარდობებს შორის უპირატესობა მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობას ენიჭება.

აქედან გამომდინარე, მეცნიერ-ეკონომისტები განიხილავენ ინფლაციის ორ ტიპს: ინფლაციას, რომელიც გამოწვეულია ერთობლივი მოთხოვნის სიჭარბით და ინფლაციას, რომელიც დანახარჯების ზრდითა და მიწოდების ნაკლებობით არის განპირობებული.

პირველი ტიპის ინფლაციისათვის დამახასიათებელია ის, რომ საზოგადოებაში გადახდისუნარიანი მოთხოვნა მეტია, ვიდრე მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობა. ჭარბი მოთხოვნა იწვევს ფასების ზრდას და მიმოქცევაში არსებული ფულის ნიშნების გაუფასურებას.

მეორე ტიპის ინფლაციისას პროდუქციის ერთეულზე განუთლი ხარჯების ზრდა იწვევს სამეწარმეო მოგებისა და შესაბამისად წარმოების მოცულობის შემცირებას. ამის გამო მცირდება მიწოდების სიდიდე, რაც წარმოშობს ბაზარზე საქონლისა და მომსახურების დეფიციტს და პროდუქციის ერთეულზე ფასების გადიდებას. ასეთ შემთხვევაში ფასი იზრდება მაშინაც, კი როცა მოთხოვნა უცვლელია. ამ პირობებში ფასების ზრდას იწვევს არა მოთხოვნის სიჭარბე, არამედ მიწოდების შემცირება, რაც სანარმოო დანახარჯების ზრდით არის განპირობებული.

პრაქტიკაში ძნელია იმის გარკვევა, თუ რომელ ტიპს მიეკუთვნება ქვეყანაში არსებული ინფლაცია, თუმცა ყველა შემთხვევაში გასაგებია, რომ ინფლაციის დროს დარღვეულია თანაფარდობა მოთხოვნა-მიწოდებას შორის, რის შედეგადაც იზრდება ფასები და უარესდება მოსახლეობის ცხოვრების დონე.

მაინც რატომ არის ინფლაცია ცუდი ეკონომიკისათვის? მეცნიერ-ეკონომისტები სამართლიანად მიიჩნევენ, რომ მაღალი ინფლაცია გვევლინება ეკონომიკური პრობლემების ერთ-ერთ მთავარ გამომწვევ ფაქტორად და წარმოადგენს ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების საფუძველს. ამასთან დამტკიცებულია, რომ დაბალი ინფლაცია სტაბილური ეკონომიკური განვითარების საწინდარია.

იმისათვის, რომ ვნახოთ თუ რა კავშირი არსებობს ინფლაციის მაჩვენებელსა და მთლიან ეროვნულ შემოსავალს შორის, მოვიყვანო მსოფლიო ბანკის მიერ 2005 წლის მონაცემებით ჩატარებული გამოკვლევის საფუძველზე გაკეთებულ დასკვნას, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ინფლაციის დაბალი მაჩვენებელია, გაცილებით მაღალია ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული მთლიანი ეროვნული შემოსავალი, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც მაღალია ინფლაციის დონე. განვითარებულ ქვეყნებში, რომელთა მთლიანი ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 10 ათას აშშ დოლარს სჭარბობს, ინფლაციის 0-4 პროცენტის დიაპაზონი შეესაბამება. საპირისპირო სურათია იმ ქვეყნების შემთხვევაში, რომელთა მთლიანი ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 5 ათასი აშშ დოლარზე ნაკლებია, მათთვის ინფლაციის დონე 6-30 პროცენტის ფარგლებშია[5].

ინფლაცია მრავალმხრივ ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე. იგი ძირფესვიანად არღვევს კვლავწარმოების პროპორციებს, აიძულებს საზოგადოებას შეამციროს დანაზოგები და კაპიტალური დაბანდებები და ფულადი სახსრები ძირითადად პირველადი საგნების შეძენაზე დახარჯოს. ინფლაციის პერიოდში მკვეთრად იცვლება მოსახლეობის ფულადი ხარჯების სტრუქტურაც და მათი უდიდესი ნაწილი იხარჯება სასურსათო საქონლის შესაძენად.

ინფლაცია აღრმავებს საზოგადოების სოციალურ და ქონებრივ

დიფერენციაციას. იზრდება ლარიბებისა და ლატაკების რიცხვი. მდიდრები კიდევ უფრო მდიდრდებიან, რადგან მათი უძრავ-მოძრავი ქონების ფასი ინფლაციის დროს კიდევ უფრო მატულობს, ხოლო ლარიბები კი უფრო მეტად ლარიბდებიან. ეს პროცესი საზოგადოების სოციალურ კატაკლიზმებს ამწვავებს და ქმნის დაძაბულობას ქვეყანაში.

ინფლაცია ამუხრუჭებს წარმოების პროცესს, ამიტომ სწრაფად იზრდება უმუშევართა რიცხვი, მცირდება წარმოებული პროდუქციის მოცულობა და ყველაფერი დეფიციტური ხდება, რაც აჩქარებს ფასების ზრდას და იწვევს მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუარესებას. ეს პროცესი განსაკუთრებით უარყოფითად აისახება ფიქსირებული შემოსავლის მქონე მოსახლეობაში (პენსიონერები, პედაგოგები და სხვა).

ინფლაციის დროს მნიშვნელოვნად ზარალდება მიკრო და მცირე ბიზნესი, რადგანაც ბრუნვის მოცულობა ინფლაციის პარალელურად იზრდება, მაგრამ ამასთან უცვლელი რჩება ბიზნესის დაბეგვრის ზღვარი, რაც ქმნის იმის პირობას, რომ მოხდეს მათი გადასვლა შემდგომ კატეგორიაში, და მათზე შესაბამისად დიდი საგადასახადო ტვირთი გაგრძელდება.

სწორედ ამ მიზეზების გამო ინფლაციის პრევენცია – ფასების სტაბილურობის შენარჩუნება წარმოადგენს ქვეყნის მონეტარული პოლიტიკის მთავარ ამოცანას, რადგანაც იგი გვევლინება სტაბილური ეკონომიკური ზრდის და სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. ვაჩნაძე, გ. თურქია. ბიზნესი, ტომი 1. თბ. 2008. ჩგვ. 80
2. გაზეთი „ფენიქსი“, 14–28 დეკემბერი 2011წ. №3.
3. გაზეთი „ბანკები და ფინანსები“, № 13 (162) 2008წ.
4. geostat. ge, ინფლაცია საქართველოში
5. w.w.w.bec.ge /images/ doc